დამტკიცებულია შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს
საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის მიერ
ბრძანება N111 – 29/11/2023წ.
ცვლილება: ბრძანება N00000129 – 26/08/2025წ.

შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს

საზოგადოებრივი კოლეჯი

დისტანციური სწავლების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე წესი არეგულირებს შპს ილია – ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს საზოგადოებრივი კოლეჯში (*შემდგომში „კოლეჯი“*) კოლეჯში ელექტრონული პლატფორმებისა და თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით სასწავლო პროცესის დაგეგმვის, უწყვეტი და ეფექტიანი წარმართვისა და ადმინისტრირების საკითხებს;

1.2. დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონული საშუალებებით, დისტანციური/ონლაინ ფორმატით ან კომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებებით წარმართვას;

1.3. დისტანციური სწავლება შეიძლება განხორციელდეს როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული კომუნიკაციის გზით. სინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ერთდროულ ინტერაქციას გამგზავნსა და მიმღებს შორის, ხოლო ასინქრონული – კომუნიკაციას, რომელიც სხვადასხვა დროს მიმდინარეობს;

1.4. დაუშვებელია პროგრამის სრულად ასინქრონული ფორმატით განხორციელება. დასაშვებია ჰიბრიდული მიდგომა, რაც გულისხმობს სინქრონული, ასინქრონული და აუდიტორიული სწავლების ერთობლივ გამოყენებას;

1.5. ინტეგრირებული ზოგადი მოდულების დისტანციური სწავლება აკრძალულია.

1.6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შუალედური შეფასება და საკვალიფიკაციო გამოცდები დისტანციურად არ ტარდება;

1.7. პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მოთხოვნის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს შეფასების ჩატარება კონტაქტური ფორმატით;

1.8. სასწავლო პროცესის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად კოლეჯი იყენებს ლიცენზირებულ Zoom პლატფორმას, შეძენილს კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით.

მუხლი 2. სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა

2.1. პროფესიული საგანმანათლებლო ჩარჩო დოკუმენტებით, სტანდარტებითა და კოლეჯის მიერ დამტკიცებული პროგრამებით განისაზღვრება ის კომპონენტები, რომელთა სწავლება ან შეფასებაა დისტანციურად დასაშვები;

2.2. კონკრეტული კომპონენტების დისტანციურად განხორციელების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი, რომელიც გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს;

2.3. დისტანციური ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვრება 50 საკონტაქტო წუთით;

2.4. კოლეჯი უზრუნველყოფს, რომ არც ერთი სტუდენტი/მსმენელი არ ჩამორჩეს სასწავლო პროცესს; საჭიროების შემთხვევაში კოლეჯში შეიძლება გამოყოფილ იქნეს დამატებითი სივრცე;

2.5. დისტანციური სწავლების განხორციელებისას კოლეჯი იცავს სტუდენტთა/მსმენელთა პერსონალურ მონაცემებსა და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;

2.6. კოლეჯში დაგეგმილი ექსტრაკურიკულური აქტივობები (ტრენინგები, სემინარები, კონსულტაციები და სხვ.) შეიძლება ჩატარდეს დისტანციური ფორმატით;

2.7. ძირითადი პლატფორმაა Zoom, თუმცა სხვა პლატფორმის გამოყენება დასაშვებია კოლეჯის დირექტორის წინასწარი თანხმობით;

2.8. კოლეჯი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის ინსტრუქციების მიწოდებას შერჩეული პლატფორმის გამოყენების შესახებ;

2.9. სასწავლო პროცესის მენეჯერი რეგულარულად აწარმოებს სტუდენტთა/მსმენელთა დასწრების აღრიცხვას;

2.10. ხშირი გაცდენის შემთხვევაში, თუ მიზეზი ტექნიკური ხარვეზებია, ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიეწოდება კოლეჯის დირექტორს, ხოლო პრობლემის აღმოფხვრამდე იგეგმება ალტერნატიული ღონისძიებები;

2.11. სტუდენტი ვალდებულია ჩაერთოს სწავლებაში დადგენილი გრაფიკის შესაბამისად და უზრუნველყოს სწავლისთვის შესაბამისი გარემო;

2.12. ონლაინ სივრცეში შესვლა აღიქმება სასწავლო პროცესში მონაწილეობად;

2.13. საჭიროების შემთხვევაში სტუდენტი ვალდებულია ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, იდენტიფიკაციისთვის პლატფორმაზე უნდა დაფიქსირდეს მისი სახელი და გვარი;

2.14. სტუდენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ონლაინ გამოკითხვებში და წარმოადგინოს საკუთარი რეკომენდაციები;

2.15. პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი პირი(შემდგომში "მასწავლებელი") ვალდებულია ასწავლოს შეთანხმებული განრიგის დაცვით, გამოიყენოს დადგენილი ფორმატები (ასინქრონული, სინქრონული ან შერეული);

2.16. მასწავლებელი ვალდებულია დარეგისტრირდეს კოლეჯის მიერ შერჩეულ პლატფორმაზე და დროულად უზრუნველყოს სტუდენტებისთვის ბმულების მიწოდება;

2.17. მასწავლებელმა ჩართვა უნდა განახორციელოს შესაბამისი გარემოდან;

2.18. მასწავლებელს უფლება აქვს მოითხოვოს სტუდენტის ვიდეო/აუდიო კავშირის ჩართვა;

2.19. მასწავლებელი მონაწილეობს ონლაინ გამოკითხვებში სწავლების ხარისხის შეფასების მიზნით;

2.20. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებელი ახორციელებს საკონტაქტო საათების ჩაწერას და გადასცემს შესაბამის სამსახურს სამი სამუშაო დღის ვადაში. ჩანაწერი ინახება 15 კალენდარული დღის განმავლობაში;

2.21. მასწავლებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მონიტორინგში ჩართულ პირებს დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში;

2.22. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვებს და გასცემს რეკომენდაციებს.

მუხლი 3. სტუდენტის/მსმენელის შეფასება

3.1. მოდულები, რომელთა შედეგები დისტანციურად ვერ მიიღება, ხორციელდება კონტაქტური სწავლების გზით კოლეჯში დაბრუნებისას;

3.2. იმ მოდულების შედეგების შეფასება, რომელთა მიღწევა შესაძლებელია დისტანციური სწავლების მეთოდებით, შეიძლება განხორციელდეს როგორც დისტანციურად, ასევე კონტაქტურად;

3.3. დისტანციური შეფასების ალტერნატიული მეთოდები უნდა უზრუნველყოფდეს ტრადიციული სწავლებისას მიღებული შედეგების ეკვივალენტურობას;

3.4. წერილობითი და ზეპირი გამოცდების ჩატარება შესაძლებელია ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით;

3.5. გამოცდისას სტუდენტმა უნდა ჩართოს ვიდეო და აუდიო მოწყობილობა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ დაიშვება გამოცდაზე;

3.6. დისტანციური შეფასების შედეგების გასაჩივრება ხორციელდება კოლეჯის სასწავლო პროცესის დარეგულირებული წესის შესაბამისად.

მუხლი 4. ხარისხის უზრუნველყოფა

4.1. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზს;

4.2. საჭიროების შემთხვევაში ანალიზის შედეგები განიხილება შეხვედრებზე მასწავლებლებთან და სტუდენტებთან/მსმენელებთან;

4.3. მიღებული დასკვნების საფუძველზე შესაძლებელია ცვლილებების განხორციელება საგანმანათლებლო პროგრამებში;

4.4. ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს დისტანციური სწავლების პროცესის მონიტორინგს, მათ შორის შემთხვევითი ჩართვებითა და სასწავლო მასალის ანალიზით.

მუხლი 5. პერსონალური მონაცემების დაცვა

5.1. პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება მხოლოდ დისტანციური სწავლების უწყვეტად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით;

5.2. ონლაინ ლექციები, სემინარები და სხვა მასალა წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, რომლის გასაჯაროებაც დასაშვებია მხოლოდ წინასწარი თანხმობით;

5.3. დისტანციური სწავლების პროცესში შექმნილი ვიდეოლექციები და სასწავლო მასალა ეკუთვნის კოლეჯსა და მასწავლებელს და გამოიყენება მხოლოდ შიდა მოხმარებისთვის;

5.4. ვიდეოჩანაწერები ინახება დადგენილი ვადით, რის შემდეგაც განადგურდება ან წაიშლება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 6. ეტიკეტი

6.1. ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული განათლების მასწავლებელი და სტუდენტი/მსმენელი ვალდებულნი არიან დაიცვან შემდეგი წესები:

6.1.1. უზრუნველყონ ონლაინ ჩართვისათვის შესაბამისი გარემო და მოულოდნელი ხმაურის შემთხვევაში გამორთონ მიკროფონი;

6.1.2. ლექციის დაწყებამდე 5–10 წუთით ადრე შეამოწმონ ტექნიკური საშუალებები;

6.1.3. ლექციაზე უნდა გამოცხადდნენ დროულად;

6.1.4. დაიცვან ეთიკისა და კომუნიკაციის ზოგადი წესები;

6.1.5. უზრუნველყონ, რომ კამერაში არ გამოჩნდეს არასასურველი გამოსახულება;

6.1.6. დაიცვან დისკუსიის წესები (რეგლამენტის დაცვა, სხვის მოსმენა, შეკითხვების დასმა);

6.1.7. თავი შეიკავონ დამამცირებელი ან არასათანადო იუმორისგან;

6.1.8. არ გაავრცელონ პერსონალური ინფორმაცია;

6.1.9. დისკუსიის პანელში დასვან მხოლოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული შეკითხვები;

6.1.10. აკრძალულია ჟარგონის, ბარბარიზმებისა და სლენგის გამოყენება;

6.1.11. წერილობით კომუნიკაციაში უნდა მოხდეს გრამატიკული შეცდომების გამოსწორება;

6.1.12. თავი შეიკავონ უადგილო ემოციების სიმბოლოების გამოყენებისგან;

6.1.13. ონლაინ კომუნიკაციაში უნდა სჭარბობდეს პოზიტიური ტონი;

6.1.14. საჭიროების შემთხვევაში მოითხოვონ განმარტება;

6.1.15. განათავსონ მხოლოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ინფორმაცია;

6.1.16. დაუკითხავად არ გაავრცელონ სხვისი პირადი ინფორმაცია, ფოტო ან ვიდეო;

6.2. წესების დარღვევა ჩაითვლება ეთიკის კოდექსის დარღვევად და კოლეჯი უფლებამოსილია იმოქმედოს შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.

მუხლი 7. დასკვნითი დებულებები

7.1. დისტანციური სწავლების წესში ცვლილებები და დამატებები ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;